

## ბამოსმასურება

ნომადი ბართაიას წიგნზე „საქართველო და ირანი, უბრეცედენტო ურთიერთობათა 20 წელი“, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013.

ჩვენ წინაშეა სრულიად სპეციფიკური ჟანრის წიგნი, რომელიც მეტისმეტად პოეტურია იმისთვის, რომ სამეცნიერო ნაშრომი იყოს, უაღრესად დოკუმენტურია იმისთვის, რომ სუბიექტურ მემუარებს მივაკუთვნოთ და მეტისმეტად დიპლომატიურია იმისთვის, რომ ინდივიდუალისტი-მნახველის შთაბეჭდილებებად მივიჩნიოთ. ასეთი სინთეზური ჟანრები ამ ბოლო დროს გაჩნდა ინტელექტუალური წიგნის ბაზარზე და ესეც მიუთითებს, რომ საზოგადოებას გული მიუწევს ამგვარი ლიტერატურისაკენ.

წიგნში აღწერილია ავტორის 20 წლიანი შთაბეჭდილებები და მოსაზრებანი ქართულ-ირანული ურთიერთობისა და თანამედროვე ირანის შესახებ.

ირანი, როგორც ეს ახასიათებს აზიას, არასოდეს არ არის მხოლოდ თანამედროვე, ის ყოველთვის ახერხებს წარსული თანამედროვეობის ნაწილად აქციოს. წიგნის ავტორი მიგვიძღვის ირაში - ქალაქ-ქალაქ და სოფელ-სოფელ, გვათვალისწინებს არა მხოლოდ ბაღებსა და სასახლეებს, არამედ შევყავართ ოჯახებში. ეს შესვლა ევროპელი დამკვირვებელივით გრძობათაგან დაცლილი მეთვალყურეობა კი არ არის, არამედ ატმოსფეროს „შიგნიდან“ დანახვის ოსტატური ცდაა; ჩვენ ვხედავთ მასპინძლებს, მათ ფოტოებს, ვისმენტ მათ მსჯელობას, ვკითხულობთ და შევიგრძობთ ადამიანთა ღიმილს, მორცხვობას, ნდობას, სევდასა და სიხარულს. ეს არის პოეტისა და მეცნიერის მიერ დაწერილი წიგნი, რომლის თვალშიც საგანთა მიღმა საგანთა არსის დანახვასაა ჩვეული, და რომელიც ირანის გზებზე სიარულისას ადამიანებსა და პეიზაჟებს რუდაქის, ფირდოუსის, ომარ-ხაიამის, ჯალ-ელ-ედ-დინ რუმის, ნიზამის, ჰაფეზის სიტყვებით ჰკრეტს და შეიგრძნობს.

წიგნის სწორედ ეს ჟანრული თავისუფლება აძლევს საშუალებას ავტორს ერთდროულად ისაუბროს ქართულ-ირანულ ურთიერთობებზეც, ირანის ისტორიაზეც, ეთნოგრაფიაზეც, ლიტერატურისა და არქიტექტურაზეც, საერთოდ, მთლიანად კულტურულ და პოლიტიკურ თავისებურებებზეც და ენაზეც.

ნუ დაგვაფიქვდება, რომ ავტორი ამ წიგნს, უპირველეს ყოვლისა, ქართველი მკითხველისათვის წერს, თავადაც ქართველი პოეტი და მოღვაწეა, ამიტომ ისე ყვება და იმას ყვება, რასაც ჩვენ გავიგებთ, მივუხვდებით, მოვიწონებთ და შევიყვარებთ. აი, მაგალითად, თავაზის ლექსიკა-ფრაზეოლოგიის ერთი ასპექტი: მისალმების სპარსული ფორმულები თურმე ასე ჟღერს:

- ყორბანე შომა („შენი მსხვერპლი ვარ“);
- ბანდეიე შომა („შენი მონა ვარ“);
- მოხლესამ („შენი გულწრფელი მეგობარი ვარ“);
- ხაქე ფადთუნ („შენი ფეხის მტვერი ვარ“);
- ჯირჯირაქეფთუნ („შენი ჭრიჭინობელა ვარ“)...

ამგვარი პასაჟები მრავლადაა წიგნში და ყველა ისევე საინტერესოა, როგორც მოყვანილი მაგალითი. *ჩვენთვის განსაკუთრებულად ძვირფასია*

ფერეიდნელ ქართველთა მეტყველების ნიმუშები... მარტო „შამწყრომი“ რად ღირს, რომელიც თურმე „მძლოს“ ნიშნავს.

კიდევ ერთ მომენტს გამოვყოფ: ბატონი ნომადი აღწერს სპარსული კალიგრაფიის გაკვეთილს, ამ აღწერას მცირე ისტორიული მიმოხილვაც ახლავს, ილუსტრაციებიცაა მოყვანილი. ვფიქრობ, ჩვენთანაც კარგი იქნებოდა კალიგრაფიის გაკვეთილების ჩატარება, თუნდაც ერთ ლექციაზე საუკეთესო კალიგრაფისტის მოწვევა და მისი მუშაობის ჩვენება სტუდენტებისათვის. წიგნში განხილულია სპარსული ენის სიწმინდის დაცვის ღონისძიებები ირანში, ასევე სპარსულის გავრცელებისა და სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწისკენ მიმართული პოლიტიკა; სპარსული ენის სიწმინდის დაცვის კომისიის ღვაწლი სპარსულში სიტყვების სესხების შეზღუდვის საქმეში და სხვ.

ჩვენთვის მისაბაძი უნდა იყოს ირანში სახელმწიფო ენის დაცვის უზრუნველყოფი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა სიმრავლე და სიფხიზლე. ქართული ენის პატრონი ხომ გაცილებით მცირერიცხოვანი ერია, მას კიდევ უფრო მეტი გარჯა მოეთხოვება მშობლიური ენის საკეთილდღეოდ. მადლობა ავტორს, რომ ეს შეგვახსენა...

და საერთოდაც, ამ მშვენიერ წიგნში ძალიან ბევრ საინტერესო და პრაქტიკულად ღირებულ ამბავს შევითვობთ ისეთი უძველესი და ბრძენი ქვეყნის ცხოვრებიდან, როგორცაა ირანი. შეიძლება ფრაზა გაცვეთილადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ მაინც ვიტყვი: „ეს წიგნი ყველამ უნდა წაიკითხოს“.

მანანა ტაბიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი